ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო'' საბჭოს სხდომა #17

2018 წლის 17 მაისს გაიმართა ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მორიგი, რიგით მეჩვიდმეტე შეხვედრა. სხდომას ესწრებოდა 10 დელეგატი, რომელსაც ხელმძღვანელობდა საბჭოს თავმჯდომარე ქ.-ნი ლელა კეთილაძე.

დღის წესრიგი:

1. ინფორმაციის გამოთხოვა და დამუსავება სოციალურად დაუცველთა შესახებ და რეკომენდაციები კონკრეტულ ოჯახებზე.
2. სოციალური ბანაკის მოწყობა სკაუტების საერთაშორისო ცენტრთან ერთად სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული ოჯახებისათვის.
3. კონსულტაციების გავლა მერიის ეკონომიკის სამსახურის წარმომადგენელთან, ასევე მერის მოადგილესთან სოციალურ საკითხებში ბ.-ნ გოჩა ლორიასთან.
4. სოციალურ პროექტებზე გადახედვა და მონიტორინგი.
5. მრჩეველთა საბჭოს შინაგანაწესის კენჭისყრა.
6. საბჭოს სხდომის შეჯამება.

17 მაისის შეხვედრაზე დელეგატებმა ყურადღება გაამახვილეს სოციალურ საკითხებზე, მიმდინარე და განსახორციელებელ საკითხებზე. საბჭომ გადაწყვიტეს გამოეთხოვათ ყველა საჭირო ინფორმაცია და რეკომენდაციები გაეცათ კონკრეტულ ოჯახებზე.

ასევე იმსჯელეს სოციალური ბანაკის მოწყობაზე სკაუტების საერთაშორისო ცენტრის დახმარებით, სოციალურად დაუცველი და სეჭირვებული ოჯახების შვილებისათვის.კონსულტაციების გამართვა მერიის ეკონომიკის სამსახურის წარმომადგენელთან და მერის მოადგილესტან სოციალურ საკითხებში ბ.-ნ გოჩა ლორიასთან, შემდგომი რეკომენდაციების მოსამზადებლად.

მრჩეველთა საბჭოს დელეგატებმა იმსჯელეს მიმდინარე პროექტების მონიტორინგზე, რომლის ფარგლებშიც მათ გასცეს რეკომენდაციები 2018 წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებელი და განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში.

შეხვედრის მეორე ნახევარში საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს მრჩეველთა საბჭოს შინაგანაწესს, დამსწრე დელეგატთა აბსოლოტური ხმათა უმრავლესობით დადგინდა

საბჭოს შინაგანაწესის საბოლოო ვერსია და შემდეგი სხდომისათვის დასამტკიცებლად მომზადდა.
დამსწრე დელეგატთა რაოდენობა - 10
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

სხდომის დასასრულს მოხდა დღის წესრიგის შეჯამება და, მნიშვნელოვან საკითხებზე შეთანხმება და შემდეგი შეხვედრა ჩაინიშნა 21.05.2018 წ. სარამოს 19:00 საათზე.

საბჭოს მდივანი

ნუკრი რამიშვილი

რუსთავი, საქართველო 17/05/2018წ.